ოქმი:**ო63.6321162001**
თარიღი:**11/06/2021**

სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

სხდომის

ო ქ მ ი N 7

ქ. სამტრედია. 8 ივნისი, 2021 წელი.

2021 წლის 8 ივნისს, სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის, ნუგზარ ჯამბურიას, თავმჯდომარეობით ჩატარდა სამტრედიის მუნიციპალიტეტის IV მოწვევის საკრებულოს სხდომა.

სხდომას ესწრებოდნენ: ნუგზარ ჯამბურია, კობა ძიძიგური, მანანა სირბილაძე, ბადრი შენგელია, მერაბ უღრელიძე, გიორგი ლეჟავა, ტარიელ დვალიშვილი, ვაჟა სტურუა, ზაზა ადეიშვილი (ონლაინ ჩართვა), კოტე ნაცვლიშვილი, დავით ამაღლობელი, გრიგოლ ჩიგოგიძე, ხვიჩა ფანცულაია (ონლაინ ჩართვა), ტარიელ თევზაძე, ვახტანგ დუნდუა, ვაჟა კოხრეიძე, გოჩა არველაძე, ავთანდილ ტორონჯაძე, ლიზა კრავეიშვილი, ნონა გოგისვანიძე, გრიგოლ დარჯანია, ემზარ შუბლაძე, მამუკა ბიბილეიშვილი, ავთანდილ თადუმაძე, დავით ნიკოლეიშვილი, ავთანდილ სტურუა (ონლაინ ჩართვა), კამო კანდელაკი, აკაკი მინაშვილი.

ასევე სხდომას ესწრებოდნენ:

1. ა.(ა).ი.პ. „სამტრედიის მუნიციპალიტეტის საბიბლიოთეკო გაერთიანება''-ს ხელმძღვანელი, ლამარა დუნდუა. ბუღალტერი, ლელა ნიკურაძე.

2. ა.(ა).ი.პ. „სამტრედიის მუნიციპალიტეტის საჭიდაო კლუბი ფალავანი“-ს ბუღალტერი, სოფო სულავა.

3. ა.(ა).ი.პ. ,,საზოგადოებრივი ჯანდაცვის სამტრედიის ცენტრი''-ს ბუღალტერი, თემურ გეგუჩაძე.

4. ა.(ა).ი.პ. `სამტრედიის მუნიციპალიტეტის მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლი~-ს ხელმძღვანელი, ტატიანა გოგუაძე. ბუღალტერი, ციცინო ქაჯაია.

5. სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარების, ეკონომიკური სტატისტიკის, ქონების მართვისა და სოფლის მეურნეობის სამსახურის უფროსი ნოე ივანიაძე;

6. სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო სამსახურის უფროსი, დავით ბაღდავაძე. მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი, ნათელა ხაბეიშვილი.

7. სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობის, არქიტექტურის, მშენებლობის, სამშენებლო ზედამხედველობის, ტრანსპორტისა

და კეთილმოწყობის სამსახურის სპეციალისტი, გიორგი ხაჟალია.

8. სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიის მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი, იუდირიული განყოფილების უფროსი, ნიკოლოზ სანაძე.

9. ა.(ა).ი.პ. სამტრედიის მუნიციპალიტეტის საინფორმაციო ცენტრის ხელმძღვანელი, სოფიო კირთაძე.

10. გაზეთ ,,სამტრედიის მაცნე''-ს კორესპოდენტი, თეა ბაბუნაშვილი.

11. სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს პირველადი სტრუქტურული ერთულის ხელმძღვანელის, აპარატის უფროსის მ/შ, ნორა იანიკოვი.

12. სამტრედიის ტელე-რადიო კომპანია ,,ზარი''-ს წარმომადგენლები.

13. ბაშის თემის წარმომადგენელი, რამაზ კაშია.

თავმჯდომარემ სხდომის წევრებს აცნობა, რომ სხდომას, ონლაინ რეჟიმში, ჩაერთო ბატონები: ზაზა ადეიშვილი, ხვიჩა ფანცულაია და ავთანდილ სტურუა.

სხდომის თავმჯდომარემ საკრებულოს წევრებს გააცნო სხდომის დღის წესრიგი.

დღის წესრიგი

1. ,,არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „სამტრედიის მუნიციპალიტეტის საბიბლიოთეკო გაერთიანება''-ს 2021 წლის ხარჯების დამტკიცების შესახებ'', სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 18 დეკემბრის N 38 174 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

/მომხსენებელი: საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიის თავმჯდომარის მ/შ. ვ.სტურუა/

2. ,,არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „სამტრედიის მუნიციპალიტეტის საჭიდაო კლუბი ფალავანი“-ს 2021 წლის პროგრამისა და მისი განხორციელების ხარჯის დამტკიცების შესახებ", სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 1 8 დეკემბრის №38 182 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.
/მომხსენებელი: საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიის თავმჯდომარის მ/შ. ვ.სტურუა/

3. ,,არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ,,საზოგადოებრივი ჯანდაცვის სამტრედიის ცენტრი''-ს 2021 წლის პროგრამისა და პროგრამის განხორციელების ხარჯის დამტკიცების შესახებ'', სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 18 დეკემბრის N38 178 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

/მომხსენებელი: საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიის თავმჯდომარის მ/შ. ვ.სტურუა/

4. „არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის `სამტრედიის მუნიციპალიტეტის მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლი~-ს 2021 წლის ხარჯების დამტკიცების შესახებ“, სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 18დეკემბრის N38 173 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

/მომხსენებელი: საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიის თავმჯდომარის მ/შ. ვ.სტურუა/

5. ,,2021 წელს სამტრედიის მუნიციპალიტეტის დასახლებებში, საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან, სოფლის

მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში დასაფინანსებელი პროექტების მოწონების შესახებ'', სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 26 აპრილის №38 37 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

/მომხსენებელი: ინფრასტრუქტურის საკითხთა კომისიის თავმჯდომარე: მ.უღრელიძე/

6. სამტრედიის მუნიციპალიტეტის სოფელ ბაშში მდებარე 50000.00 კვ.მ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №34.09.46.301) ელექტრონული აუქციონის წესით, იჯარის ფორმით, სარგებლობაში გადაცემისათვის, სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემისა და ქირის საწყისი წლიური საფასურის დადგენის შესახებ.

/მომხსენებელი: ინფრასტრუქტურის საკითხთა კომისიის თავმჯდომარე: მ.უღრელიძე/

7. ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიის დებულების დამტკიცების შესახებ", სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 4 დეკემბრის №29 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

/მომხსენებელი: იურიდიულ, ადამიანის უფლებათა დაცვის, საპროცედურო და სამანდატო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე: მ.სირბილაძე/

8. ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ", სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 4 დეკემბრის №35 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

/მომხსენებელი: იურიდიულ, ადამიანის უფლებათა დაცვის, საპროცედურო და სამანდატო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე: მ.სირბილაძე/

9. სამტრედიის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ვიდეოფირზე ან/და ფოტოფირზე დაფიქსირებულ ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ფაქტზე გამოწერილი საჯარიმო ქვითრის საჯაროდ გამოქვეყნების წესის დამტკიცების შესახებ.

/მომხსენებელი: იურიდიულ, ადამიანის უფლებათა დაცვის, საპროცედურო და სამანდატო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე: მ.სირბილაძე/

10. სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარესთან, ანაზღაურებად შვებულებაში გასვლის გამო, სამსახურეობრივი ურთიერთობის შეჩერების შესახებ.

/მომხსენებელი: იურიდიულ, ადამიანის უფლებათა დაცვის, საპროცედურო და სამანდატო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე: მ.სირბილაძე/

11. სხვადასხვა

დაადგინეს: კენჭისყრის შედეგად (28 ხმით), დამტკიცდა დღის წესრიგი წარმოდგენილი სახით.

დღის წესრიგის I საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა, ვაჟა სტურუამ, საკრებულოს წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი ,,არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „სამტრედიის მუნიციპალიტეტის საბიბლიოთეკო გაერთიანება''-ს 2021 წლის ხარჯების დამტკიცების შესახებ'', სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 18 დეკემბრის N 38 174 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე''.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ მუნიციპალიტეტის მერის N 37/2887, 24/05/2021 წ. წერილობითი მომართვის საფუძველზე ხორციელდება ცვლილება ა.(ა).ი.პ. სამტრედიის მუნიციპალიტეტის ,,საბიბლიოთეკო გაერთიანება''-ს 2021 წლის სუბსიდიის გეგმაში. ხორციელდება შიდა მუხლობრივი ცვლილება. კერძოდ, ოფისის მუხლში თანხა მცირდება შენობა-ნაგებობებისა და მათი მიმდებარე ტერიტორიების მიმდინარე ხარჯიდან 0.5 ათ.ლარით, ელექტრო ენერგიის ხარჯის მუხლში 0.1 ათ.ლარით, შესაბამისად კომპიუტერული პროგრამების შეძენისა და განახლების ხარჯის მუხლში თანხა იზრდება 0.2 ათ.ლარით და საოფისე ავეჯის მუხლში 0.4 ათ.ლარით.

ხარჯების მუხლიდან, სხვა დანარჩენი მიმდინარე ტრანსფერები, რომლებიც სხვაგან არ არის კლასიფიცირებული, თანხა მცირდება 0.5 ათ.ლარით, კულტურულ, სპორტული, საგანმანათლებლო და საგამოფენო ხარჯიდან 0.2 ათ.ლარით და შესაბამისად სამედიცინო ხარჯის მუხლში თანხა იზრდება 0.5 ათ.ლარით და რბილი ინვენტარის ხარჯის მუხლში, 0.2 ათ.ლარით.

საკითხი განიხილა საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიამ და ბიურომ. მომზადდა შესაბამისი განკარგულების პროექტი.

პროექტის ირგვლივ შენიშვნები არ ყოფილა.

კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო 28 წევრმა.

დაადგინეს: კენჭისყრის შედეგად (28 ხმით), დამტკიცდა განკარგულება ,,არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „სამტრედიის მუნიციპალიტეტის საბიბლიოთეკო გაერთიანება''-ს 2021 წლის ხარჯების დამტკიცების შესახებ'', სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 18 დეკემბრის N 38 174 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე''.

დღის წესრიგის II საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა, ვაჟა სტურუამ, საკრებულოს წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი ,,არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „სამტრედიის მუნიციპალიტეტის საჭიდაო კლუბი ფალავანი“-ს 2021 წლის პროგრამისა და მისი განხორციელების ხარჯის დამტკიცების შესახებ", სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 18 დეკემბრის №38 182 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე''.

მომხსენებელმა გააცნო მუნიციპალიტეტის მერის N 37/2970, 27/05 /2021 წ. წერილობითი მომართვა, რომელიც ეხება ა.(ა).ი.პ. „ სამტრედიის მუნიციპალიტეტის „საჭიდაო კლუბი ფალავანი''-ს 2021 წლის სუბსიდიის გეგმაში ცვლილების შეტანის საკითხს. ხორციელდება შიდა მუხლობრივი ცვლილება. კერძოდ, ოფისის ხარჯის მუხლში ბუნებრივი აირის ხარჯის თანხა მცირდება 0.40 ათ.ლარით და შესაბამისად კომპიუტერული პროგრამების შეძენის და განახლების ხარჯის თანხა იზრდება 0.40 ათ.ლარით.

საკითხი განიხილა საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიამ და ბიურომ. მომზადდა შესაბამისი განკარგულების პროექტი.

პროექტის ირგვლივ შენიშვნები არ ყოფილა.

კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო 28 წევრმა.

დაადგინეს: კენჭისყრის შედეგად (28 ხმით), დამტკიცდა განკარგულება ,,არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „სამტრედიის მუნიციპალიტეტის საჭიდაო კლუბი ფალავანი“-ს 2021 წლის პროგრამისა და მისი განხორციელების ხარჯის დამტკიცების შესახებ", სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 18 დეკემბრის №38 182 განკარგულებაში ცვლილების

შეტანის თაობაზე''.

დღის წესრიგის III საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა, ვაჟა სტურუამ, საკრებულოს წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი ,,არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ,,საზოგადოებრივი ჯანდაცვის სამტრედიის ცენტრი''-ს 2021 წლის პროგრამისა და პროგრამის განხორციელების ხარჯის დამტკიცების შესახებ'', სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 18 დეკემბრის N38 178 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე''.

მუნიციპალიტეტის მერის N 37/2971, 27/05 /2021 წ. წერილობითი მომართვის საფუძველზე ხორციელდება ცვლილება ა.(ა).ი.პ. „სამტრედიის მუნიციპალიტეტის „საზოგადოებრივი ჯანდაცვის სამტრედიის ცენტრი"-ს 2021 წლის სუბსიდიის გეგმაში. კერძოდ, მიზნობრივ ტრანსფერში: მივლინება ქვეყნის შიგნით თანხა მცირდება 0.10 ათ.ლარით, და სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურეობის თანხა 0.30 ათ.ლარით, სულ 0.40 ათ.ლარით და შესაბამისად ოფისის მუხლში კომპიუტერული პროგრამების შეძენა და განახლების ხარჯის მუხლში თანხა იზრდება 0.40 ათ.ლარით. ასევე იზრდება საკუთარი შემოსავლები, მალარიის პრევენციის ღონისძიებების ხარჯის მუხლში 0.64 ათ.ლარით.

საკითხი განიხილა საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიამ და ბიურომ. მომზადდა შესაბამისი განკარგულების პროექტი.

პროექტის ირგვლივ შენიშვნები არ ყოფილა.

კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო 28 წევრმა.

დაადგინეს: კენჭისყრის შედეგად (28 ხმით), დამტკიცდა განკარგულება ,,არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ,,საზოგადოებრივი ჯანდაცვის სამტრედიის ცენტრი''-ს 2021 წლის პროგრამისა და პროგრამის განხორციელების ხარჯის დამტკიცების შესახებ'', სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 18 დეკემბრის N38 178 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე''.

დღის წესრიგის IV საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა, ვაჟა სტურუამ, საკრებულოს წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი „არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის `სამტრედიის მუნიციპალიტეტის მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლი~-ს 2021 წლის ხარჯების დამტკიცების შესახებ", სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 18დეკემბრის N38 173 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე''.

მომხსენებელმა გააცნო მუნიციპალიტეტის მერის N 37/3063, 01/06 /2021 წ. წერილობითი მომართვა, რომელიც ეხება ა.(ა).ი.პ. სამტრედიის მუნიციპალიტეტის ,,მოსწავლე - ახალგაზრდობის სახლი''-ს 2021 წლის სუბსიდიის გეგმაში ცვლილების შეტანის საკითხს. კერძოდ, შრომის ანაზღაურების მუხლში თანხა მცირდება 0. 40 ათ.ლარით (ეკონომია გამოწვეულია თანამშრომლის უფასო შვებულების სარგებლობის გამო), საკანცელარიო, საწერ-სახაზავი ქაღალდის, საბუღალტრო ბლანკების, ბიულეტინების, საკანცელარიო წიგნების და სხვა ანალოგიური მასალების შეძენის ხარჯის მუხლში 0.30 ათ.ლარით, ნორმატიული აქტების, საცნობარო და სპეციალური ლიტერატურის, ჟურნალ-გაზეთის შეძენა და ყველა სახის საგამომცემლო- სასტამბო ხარჯის მუხლში 1.10 ათ.ლარით, ოფისისათვის საჭირო საგნებისა და მასალების შეძენის ხარჯის მუხლში 0.50 ათ.ლარით, რეცხვის, ქიმწმენდის და სანიტარული საგნების შეძენის ხარჯის მუხლში 0.30 ათ.ლარით, ოფისის ხარჯის მუხლი, რომელიც არ არის კლასიფიცირებული 0.50 ათ.ლარით, სესიების, კონფერენციების და სხვა სამუშაო შეხვედრების ორგანიზების ხარჯის მუხლში 0.50 ათ.ლარით, საარქივო მომსახურების ხარჯის მუხლში 0.50 ათ.ლარით, სხვა საქონელსა

და მომსახურეობაზე გაწეული ხარჯის მუხლში 0.20 ათ.ლარით, სულ თანხა მცირდება 4.30 ათ.ლარით. შესაბამისად შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა ანაზღაურების მუხლში თანხა იზრდება 3.60 ათ.ლარით, ტრანსპორტის დაქირავების (გადაზიდვა-გადაყვანის) ხარჯის მუხლში 0.70 ათ.ლარით შემოქმედებითი ჯგუფების გასვლითი ღონისძიებებში ფესტივალ-კონკურსებში მონაწილეობისათვის, სულ 4.30 ათ.ლარით.

საკითხი განიხილა საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიამ და ბიურომ. მომზადდა შესაბამისი განკარგულების პროექტი.

პროექტის ირგვლივ შენიშვნები არ ყოფილა.

კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო 28 წევრმა.

დაადგინეს: კენჭისყრის შედეგად (28 ხმით), დამტკიცდა განკარგულება „არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის `სამტრედიის მუნიციპალიტეტის მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლი~-ს 2021 წლის ხარჯების დამტკიცების შესახებ“, სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 18დეკემბრის N38 173 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე’’.

დღის წესრიგის V საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა, მერაბ უღრელიძემ, საკრებულოს წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი ,,2021 წელს სამტრედიის მუნიციპალიტეტის დასახლებებში, საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან, სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში დასაფინანსებელი პროექტების მოწონების შესახებ’’, სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 26 აპრილის №38 37 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე’’.

მუნიციპალიტეტის მერის N 37/2880, 24/05/2021 წ. წერილობითი მომართვის საფუძველზე ხორციელდება ცვლილება ,,2021 წელს სამტრედიის მუნიციპალიტეტის დასახლებებში, საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან, სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში დასაფინანსებელი პროექტების მოწონების შესახებ’’, სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 26 აპრილის №38 37 განკარგულებაში. ცვლილების მიხედვით, საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადების ღირებულება განისაზღვრება მთლიანი თანხის 2,5%-ის ოდენობით.

საკითხი განიხილა ინფრასტრუქტურის საკითხთა კომისიამ და ბიურომ. მომზადდა შესაბამისი განკარგულების პროექტი.

აზრი გამოთქვეს: მამუკა ბიბილეიშვილმა, ავთანდილ თადუმაძემ და ემზარ შუბლაძემ.

გამომსვლელები დაინტერესდნენ: გამარტივებული ტენდერით მოხდება თუ არა წარმოდგენილი სამუშაოების შესრულება?. დღეის მდგომარეობით რამდენ კილოვატ საათს მოიხმარს სამტრედიის მუნიციპალიტეტი? მოწესრიგდება თუ არა სოხუმის ქუჩის განათების სისტემა? აღნიშნული ქუჩა არის ქალაქის შემოსასვლელი დასავლეთიდან, მთლიანად ჩაბნელებულია და ქმნის უხერხულ მდგომარეობას. იქნებ მოიძებნოს თანხები ამ ქუჩაზე განათების მოსაწესრიგებლად.

დავით ბაღდავაძე - ყველა სამუშაოები, რაც შეეხება სოფლის პროგრამებს, შესრულდება გამარტივებული ტენდერის საშუალებით. რამდენ კილოვატ საათს მოიხმარს სამტრედიის მუნიციპალიტეტის, ამის შესახებ ინფორმაცია არა მაქვს, მაგრამ ლედ-განათების მოწყობამ გამოიწვია ეკონომია და შესაბამისად გაიზარდა გარე განათების მოწყობის ხარჯი. რაც შეეხება სოხუმის ქუჩაზე განათების სისტემის მოწყობას ხარჯი ჯდება 100 ათ. ლარი. პროექტი გაკეთდა შარშან. ეს ნამდვილად მტკივენეული საკითხია. წარმოდგენილი თანხები ძირითადად არის სოფლის პროგრამით გასაკეთებელი განათების თანხა. ორჯერ გაიგზავნა წერილი

საგზაო დეპარტამენის სახელზე და შედეგი არ მოყოლია.

პროექტის ირგვლივ შენიშვნები არ ყოფილა.

კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო 28 წევრმა.

დაადგინეს: კენჭისყრის შედეგად (28 ხმით), დამტკიცდა განკარგულება ,,2021 წელს სამტრედიის მუნიციპალიტეტის დასახლებებში, საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან, სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში დასაფინანსებელი პროექტების მოწონების შესახებ'', სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 26 აპრილის №38 37 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე''.

დღის წესრიგის VI საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა, მერაბ უღრელიძემ, საკრებულოს წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის სოფელ ბაშში მდებარე 50000.00 კვ.მ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №34.09.46.301) ელექტრონული აუქციონის წესით, იჯარის ფორმით, სარგებლობაში გადაცემისათვის, სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემისა და ქირის საწყისი წლიური საფასურის დადგენის შესახებ''.

მომხსენებელმა გააცნო მუნიციპალიტეტის მერის N 37/2877, 24/05/2021 წ. წერილობითი მომართვა, რომელიც ეხება ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის სოფელ ბაშში მდებარე 50000.00 კვ.მ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №34.09.46.301) ელექტრონული აუქციონის წესით, იჯარის ფორმით, სარგებლობაში გადაცემისათვის. სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემისა და ქირის საწყისი წლიური საფასურის დადგენის საკითხს.

საკითხი განიხილა ინფრასტრუქტურის საკითხთა კომისიამ და ბიურომ. მომზადდა შესაბამისი განკარგულების პროექტი. რომლის თანახმად მიეცეს თანხმობა სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერს, რომ ელექტრონული აუქციონის წესით, იჯარის ფორმით, სარგებლობაში გასცეს სამტრედიის მუნიციპალიტეტის სოფელ ბაშში მდებარე 50000.00 კვ.მ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №34.09.46.301).

- მიწის ნაკვეთის (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №34.09.46.301) ელექტრონული აუქციონის წესით, იჯარის ფორმით, სარგებლობაში გადაცემის ქირის საწყის წლიურ საფასურად (ქირის საწყის წლიურ ოდენობად) განისაზღვროს 1400 (ათასოთხასი) ლარი.

- საგარანტიო თანხის ოდენობად განისაზღვროს 600 (ექვსასი) ლარი.

- ბიჯის ოდენობად განისაზღვროს 150 (ასორმოცდაათი) ლარი.

- იჯარის ფორმით სარგებლობისათვის, ქირის გადახდა განხორციელდება ყოველთვიურად.

- იჯარის ფორმით, სარგებლობის ვადად განისაზღვროს 25 (ოცდახუთი) წელი.

აზრი გამოთქვეს: აკაკი მინაშვილმა, ემზარ შუბლაძემ.

პროექტის ირგვლივ შენიშვნები არ ყოფილა.

კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო 28 წევრმა.

დაადგინეს: კენჭისყრის შედეგად (28 ხმით), დამტკიცდა განკარგულება ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის სოფელ ბაშში მდებარე 50000.00 კვ.მ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №34.09.46.301) ელექტრონული აუქციონის წესით, იჯარის ფორმით, სარგებლობაში გადაცემისათვის, სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემისა და ქირის საწყისი წლიური საფასურის დადგენის შესახებ''.

დღის წესრიგის VII საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა, მანანა სირბილაძემ, საკრებულოს წევრებს გააცნო დადგენილების პროექტი ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიის დებულების დამტკიცების შესახებ", სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 4 დეკემბრის №29 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე''.

მომხსენებელმა გააცნო მუნიციპალიტეტის მერის N 37/2882, 24/05/2021 წ. წერილობითი მომართვა, რომელიც ეხება ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიის დებულების დამტკიცების შესახებ", სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 4 დეკემბრის №29 დადგენილებაში ცვლილების შეტანის საკითხს.

ცვლილების მიხედვით, სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიის დებულებაში და სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურის დებულებაში აისახება, რომ სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური ახორციელებს ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის სფეროში მუნიციპალიტეტის მერიის კომპეტენციას მიკუთვნებული საკითხების მართვას, კოორდინაციას და ზედამხედველობას საქართველოს კანონით „ბავშვის უფლებათა კოდექსით“ გათვალისწინებული საკუთარი და დელეგირებული უფლებამოსილების ფარგლებში და „სოციალური მუშაობის შესახებ“, საქართველოს კანონის 56-ე მუხლით გათვალისწინებული, სოციალური სამუშაოს ჩატარებას მუნიციპალიტეტის უფლებამოსილების ფარგლებში.

კერძოდ, **2.** სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიის დებულების მე-12 მუხლის მე-6 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,6. ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურის ძირითადი ფუნქციებია: ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მუნიციპალური პროგრამების შემუშავება და განხორციელება; მუნიციპალიტეტისათვის დელეგირებული საზოგადოებრივი ჯანდაცვის უფლებამოსილებათა განხორციელება; წინადადებების შემუშავება ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის დაწესებულებათა შექმნისა და რეორგანიზაციის საკითხებზე; უსახლკაროთა რეგისტრაციას და მათ თავშესაფრით უზრუნველყოფა; ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის სფეროში მუნიციპალიტეტის მერიის კომპეტენციას მიკუთვნებული საკითხების მართვა, კოორდინაცია და ზედამხედველობა საქართველოს კანონით „ბავშვის უფლებათა კოდექსით“ გათვალისწინებული საკუთარი და დელეგირებული უფლებამოსილების ფარგლებში; „სოციალური მუშაობის შესახებ“, საქართველოს კანონის 56-ე მუხლით გათვალისწინებული სოციალური სამუშაოს ჩატარება მუნიციპალიტეტის უფლებამოსილების ფარგლებში.''

საკითხი განიხილა იურიდიულ, ადამიანის უფლებათა დაცვის, საპროცედურო და სამანდატო საკითხთა კომისიამ და ბიურომ. მომზადდა შესაბამისი დადგენილების პროექტი,

აზრი გამოთქვა: გიორგი ლეჟავამ:

გიორგი ლეჟავა - საკითხი არის ძალიან საპასუხისმგებლო და რთული. დიდი პრეტენზიები ისმის სოციალური მუშაკების მიმართ. თუნდა ბავშვების განრიდების საკითხი. ურთულესი საკითხია. საჭიროებს კვალიფიციურ სპეციალისტებს. ჩვენს შესაბამის კომისიასთან მჭიდრო კონტაქტის და ურთიერთობის საფუძველზე, რა თქმა უნდა მერიასთან ერთად, მოხდეს კადრების შერჩევა.

პროექტის ირგვლივ შენიშვნები არ ყოფილა.

კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო 28 წევრმა.

დაადგინეს: კენჭისყრის შედეგად (28 ხმით), დამტკიცდა დადგენილება ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიის დებულების დამტკიცების შესახებ", სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 4 დეკემბრის №29 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე''.

/დადგენილება თან ერთვის/

დღის წესრიგის VIII საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა, მანანა სირბილაძემ, საკრებულოს წევრებს გააცნო დადგენილების პროექტი ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ", სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 4 დეკემბრის №35 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე''.

გააცნო მუნიციპალიტეტის მერის N 37/2882, 24/05/2021 წ. წერილობითი მომართვა, რომელიც ეხება ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ", სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 4 დეკემბრის №35 დადგენილებაში ცვლილების შეტანის საკითხს.

საკითხი განიხილა იურიდიულ, ადამიანის უფლებათა დაცვის, საპროცედურო და სამანდატო საკითხთა კომისიამ და ბიურომ. მომზადდა შესაბამისი დადგენილების პროექტი, რომლის თანახმად სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურის დებულების პირველი მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,1. მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური (ტექსტში შემდგომ – სამსახური) არის მუნიციპალიტეტის მერიის სტრუქტურული ერთეული, რომელიც უზრუნველყოფს ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მუნიციპალური პროგრამების შემუშავებასა და განხორციელებას; მუნიციპალიტეტისათვის დელეგირებული საზოგადოებრივი ჯანდაცვის უფლებამოსილებათა განხორციელებას; წინადადებების შემუშავებას ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის დაწესებულებათა შექმნისა და რეორგანიზაციის საკითხებზე; უსახლკაროთა რეგისტრაციას და მათ თავშესაფრით უზრუნველყოფას; ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის სფეროში მუნიციპალიტეტის მერიის კომპეტენციას მიკუთვნებული საკითხების მართვას, კოორდინაციას და

ზედამხედველობას საქართველოს კანონით „ბავშვის უფლებათა კოდექსით“ გათვალისწინებული საკუთარი და დელეგირებული უფლებამოსილების ფარგლებში; „სოციალური მუშაობის შესახებ“, საქართველოს კანონის 56-ე მუხლით გათვალისწინებული სოციალური სამუშაოს ჩატარებას მუნიციპალიტეტის უფლებამოსილების ფარგლებში.''

- სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურის დებულების მე-3 მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის:

ა) ,,თ''-ქვეპუნქტი:

,,თ) ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის სფეროში მუნიციპალიტეტის მერიის კომპეტენციას მიკუთვნებული საკითხების მართვას, კოორდინაციას და ზედამხედველობას საქართველოს კანონით „ბავშვის უფლებათა კოდექსით“ გათვალისწინებული საკუთარი და დელეგირებული უფლებამოსილების ფარგლებში;''

ბ) ,,ი''-ქვეპუნქტი:

,,ი) „სოციალური მუშაობის შესახებ“, საქართველოს კანონის 56-ე მუხლით გათვალისწინებული სოციალური სამუშაოს ჩატარებას მუნიციპალიტეტის უფლებამოსილების ფარგლებში.''

- სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურის დებულებას დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-6 მუხლი:

„მუხლი 6. ბავშვთა უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის მიმართულების ფუნქციები''

აზრი გამოთქვა: მამუკა ბიბილეიშვილმა.

მამუკა ბიბილეიშვილი - დებულების პირველი მუხლის პირველი პუნქტში ჩამოთვალთა შორის აღნიშნულია, რომ მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური (ტექსტში შემდგომ – სამსახური) არის მუნიციპალიტეტის მერიის სტრუქტურული ერთეული, რომელიც უზრუნველყოფს უსახლკაროთა რეგისტრაციას და მათ თავშესაფრით უზრუნველყოფას; მინდა ავშნიშნო, რომ მერიის სამსახური ვერ მოახერხებს თავშესაფრით უზრუნველყოფას. ეს უნდა გააკეთოს თავად მერიამ. შემოვდივარ წინადადებით, რომ განხორციელდეს ცვლილება აღნიშნულ პროექტში და ნაცვლად ,,უსახლკაროთა რეგისტრაციას და მათ თავშესაფრით უზრუნველყოფისა'' ჩაიწეროს ,,უსახლკაროთა რეგისტრაციას და მათ თავშესაფრით უზრუნველყოფის წინადადებების მომზადებას'';

კენჭისყრაზე დადგა აღნიშნული წინადადება.

კენჭისყრის შედეგად (28 ხმით), განხორციელდა ცვლილება წარმოდგენილი პროექტში და სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურის დებულების პირველი მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,1. მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური (ტექსტში

შემდგომ – სამსახური) არის მუნიციპალიტეტის მერიის სტრუქტურული ერთეული, რომელიც უზრუნველყოფს ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მუნიციპალური პროგრამების შემუშავებასა და განხორციელებას; მუნიციპალიტეტისათვის დელეგირებული საზოგადოებრივი ჯანდაცვის უფლებამოსილებათა განხორციელებას; წინადადებების შემუშავებას ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის დაწესებულებათა შექმნისა და რეორგანიზაციის საკითხებზე; უსახლკაროთა რეგისტრაციას და მათ თავშესაფრით უზრუნველყოფის წინადადებების მომზადებას; ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის სფეროში მუნიციპალიტეტის მერიის კომპეტენციას მიკუთვნებული საკითხების მართვას, კოორდინაციას და ზედამხედველობას საქართველოს კანონით „ბავშვის უფლებათა კოდექსით“ გათვალისწინებული საკუთარი და დელეგირებული უფლებამოსილების ფარგლებში; „სოციალური მუშაობის შესახებ“, საქართველოს კანონის 56-ე მუხლით გათვალისწინებული სოციალური სამუშაოს ჩატარებას მუნიციპალიტეტის უფლებამოსილების ფარგლებში.’’

პროექტის ირგვლივ შენიშვნები არ ყოფილა.

კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო 28 წევრმა.

დაადგინეს: კენჭისყრის შედეგად (28 ხმით), დამტკიცდა დადგენილება ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ”, სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 4 დეკემბრის №35 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე’’.

/დადგენილება თან ერთვის/

დღის წესრიგის IX საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა, მანანა სირბილაძემ, საკრებულოს წევრებს გააცნო დადგენილების პროექტი ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ვიდეოფირზე ან/და ფოტოფირზე დაფიქსირებულ ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ფაქტზე გამოწერილი საჯარიმო ქვითრის საჯაროდ გამოქვეყნების წესის დამტკიცების შესახებ’’.

მომხსენებელმა გააცნო მუნიციპალიტეტის მერის N 37/2881, 24/05/2021 წ. წერილობითი მომართვა, რომელიც ეხება ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ვიდეოფირზე ან/და ფოტოფირზე დაფიქსირებულ ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ფაქტზე გამოწერილი საჯარიმო ქვითრის საჯაროდ გამოქვეყნების წესის დამტკიცების საკითხს. დადგენილების მიღებით, განისაზღვრება სამტრედიის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ვიდეოფირზე ან/და ფოტოფირზე დაფიქსირებულ ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ფაქტზე გამოწერილი საჯარიმო ქვითრის საჯაროდ გამოქვეყნებასთან დაკავშირებული პროცედურები, აგრეთვე, ამ წესის აღსრულების მიზნით, სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიის უფლებამოსილი სტრუქტურული ერთეულის მიერ განსახორციელებელი ღონისძიებები.

საკითხი განიხილა იურიდიულ, ადამიანის უფლებათა დაცვის, საპროცედურო და სამანდატო საკითხთა კომისიამ და ბიურომ. მომზადდა შესაბამისი დადგენილების პროექტი.

ნიკოლოზ სანაძემ უპასუხა საკრებულოს წევრების შეკითხვებზე და გააკეთა განმარტებები წარმოდგენილ პროექტთან დაკავშირებით.

პროექტის ირგვლივ შენიშვნები არ ყოფილა.

კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო 28 წევრმა.

დაადგინეს: კენჭისყრის შედეგად (28 ხმით), დამტკიცდა დადგენილება ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ვიდეოფირზე ან/და ფოტოფირზე დაფიქსირებულ ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ფაქტზე გამოწერილი საჯარიმო ქვითრის საჯაროდ გამოქვეყნების წესის დამტკიცების შესახებ''.

/დადგენილება თან ერთვის/

დღის წესრიგის X საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა, მანანა სირბილაძემ, საკრებულოს წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარესთან, ანაზღაურებად შვებულებაში გასვლის გამო, სამსახურეობრივი ურთიერთობის შეჩერების შესახებ''.

მომხსენებელმა გააცნო სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის, ნუგზარ ჯამბურიას, განცხადება. განმცხადებელი ითხოვს, 2021 წლის 01 ივლისიდან, კუთვნილ ანაზღაურებად შვებულებაში გასვლას, შვებულების ვადით, 24 სამუშაო დღით. (საკრებულოს რეგისტრაციის N 111-38 27/05/2021წ.)

საკითხი განიხილა იურიდიულ, ადამიანის უფლებათა დაცვის, საპროცედურო და სამანდატო საკითხთა კომისიამ და ბიურომ. მომზადდა შესაბამისი განკარგულების პროექტი, რომლის თანახმად **სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარესთან,** ნუგზარ ჯამბურიასთან, 2021 წლის 1 ივლისიდან შეჩერდეს სამსახურეობრივი ურთიერთობა, ანაზღაურებადი შვებულების ვადით, 24 სამუშაო დღით.

- სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის, სამსახურეობრივი ურთიერთობის შეჩერების გამო, საკრებულოს თავმჯდომარის მოვალეობის შესრულება დაევალოს საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილეს, კობა ძიძიგურს.

პროექტის ირგვლივ შენიშვნები არ ყოფილა.

კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო 28 წევრმა.

დაადგინეს: კენჭისყრის შედეგად (28 ხმით), დამტკიცდა განკარგულება ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარესთან, ანაზღაურებად შვებულებაში გასვლის გამო, სამსახურეობრივი ურთიერთობის შეჩერების შესახებ''.

ამით, დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხები ამოწურულია.

ნუგზარ ჯამბურია

სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
თავჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი